

13 ივნისის ტრაგედიიდან 3 წელი გავიდა



13 ივნისის ტრაგედიიდან 3 წელი გავიდა. დაღუპულთა მემორიალი ყვავილებით ოჯახის წევრებმა, სასურდო პირებმა და თბილისის მთავრობამ შეამკეს. დაღუპულთა ხსოვნის პატივის მისაგებად მივიდნენ ასევე თბილისის მერი

კახა კარაძე და საკრებულოს წევრები. მემორიალთან ჩატარადა სურათი მოსახსენიებელი პარაკლისი.

პარლამენტის პრენარულ სხდომაზე დეპუტატებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს 2015 წლის 13 ივნისის სტიქიის შედეგად დაღუპულებს.

“დღეს არის 13 ივნისი. ყველას გვახსოვს ტრაგიკული დღე, როდესაც ჩვენი თანამოქალაქეების სიცოცხლე სტიქიურმა უბედურებამ შეიწირა“, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ.

მაშინ სტიქიქას 21 ადამიანი ემსხვერპლა, ასობით მოქალაქე ვი დაზარადა. სტიქიამ გაანადგურა საცხოვრებელი სახლები, გზები, ხიდები, გვირაბები, საყრდენი კედლები, საკომუნიკაციო სისტემები. მთლიანად დაიტბორა „მზიურისა“ და ზოოპარკის ტერიტორია. სტიქიას ემსხვერპლა ზოოპარკის ბინადართა ნაწილი. დაზარადა ქალაქის ინფრასტრუქტურა, მათ შორის ვაკე-საბურთალოს დამაკავშირებელი ესტაკადა, კოჭორი-სამადლოს დამაკავშირებელი გზა, ახადდაბა-წყნეთის გზის მონაკვეთი.

